
საპროექტო ტერიტორიის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

თბილისი
უზნაძის ქ. № 65




დამკვეთი:
შ.პ.ს. „მარჯანი“

შემსრულებელი:
არქიტექტორი - ალა პროზოროვა

გამოყენებულია ფოტო და გრაფიკული მასალა ისტ.-არქიტექტურული კვლევიდან – *„დავ. აღმაშენებლის გამზ. მიმდებარე ტერიტორიის“* შესრულებულია შ.პ.ს. „არქიტექტორები.ჯი“

2006 წ.



1 - საპროექტო ტერიტორია
2 - «თიბისი» ბანკი
3 - კ.მარჯანიშვილის თეატრი
4 - მარჯანიშვილის ქ. № 9
5 - სანკტ-პეტერბურგის ქუჩა


ადგილი, რომელზეც მდებარეობს საკვლევი ობიექტი, XVIII ს-ში დაფარული იყო ველური მცენარეებით. ოდნავ ზემოთ (*დაახლოებით ახლანდელი ჩიტაიას ქ*), *დავით აღმაშენებლის გამზირის* პარალელურად გადიოდა ძველი *აფჭალის გზა*, რომელიც სათავეს *ავლაბრის ჭიშკართან* იღებდა. ქ. თბილისის 1800წ. რუკაზე გამზირის დასაწყისში, *ზაარბრიუკენის მოედნის* მიდამოებში, აღნიშნულია *სოფელი კუკია*, თავისი ეკლესიით, დიდი კერძო ბაღითა და გალავნით. კუკიას საზღვრებს წარმოადგენდა *მდ. მტკვარი*, ხრამი, რომელიც გადიოდა დღევანდელი *მარჯანიშვილის ქ.-ის* გასწვრივ და მოპირდაპირე მხარეს ასეთივე ხრამი *კვირაცხოველი*. 1818წ. კუკიას ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ დასახლდა ვიურტენბერგიდან გადმოსახლებული გერმანელი კოლონისტების ნაწილი. მათ კეთილმოაწყვეს ადგილი, გაიყვანეს სარწყავი არხი, ტერიტორიაზე გაჩნდა ბაღები და ბოსტნები. გერმანელები გახდნენ ბოსტნეულისა და რძის პროდუქტების ძირითადი მომწოდებლები ქალაქის ბაზარზე. 1823 წლისთვის კუკიას მოსახლეობა შეადგენდა 1008 ადამიანს. აქ ძირითადად დაკავებულები იყვნენ ხელოსნობითა და სოფლის მეურნეობით. 1824წ. კუკია ოფიციალურად მიეწერა ქალაქს, 1853 წლიდან აქ ვრცელდება ქალაქის განაშენიანების წესები, ხოლო 1862წ. შედის ქალაქის საზღვრებში. XIXს.-ის 80-იან წლებში მშენებლობის ტემპი მნიშვნელოვნად გაიზარდა, მას შემდეგ, რაც მოხდა მტკვრის ნაპირების დაკავშირება ვერის და ვორონცოვის ხიდების საშუალებით.

1902-1907წწ. რუკებზე ბაღებს ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ტერიტორია უკავიათ. იმდროინდელი ვრცელი მწვანე მასივებიდან ჩვენს დრომდე მხოლოდ მცირე ნაწილმა მოაღწია. ესენია – ***არტოს ბაღი, ფილარმონიის საზაფხულო ბაღი, გორკის კლუბის ბაღი*** *(ვარდის ბაღი)*, რამდენიმე სკვერი და შიდა ეზოს გამწვანება. XIX-XXსს.-ების მიჯნაზე ჩამოყალიბდა გეგმარებითი სქემა – რეგულარული ქსელი, რომელსაც ქმნიან ***მიხეილის გამზირის*** *(დღევანდელი დავით აღმაშენებლის გამზირი)* პარალელური და პერპენდიკულარული ქუჩები. ისინი მთელს რაიონს ყოფენ სწორკუთხა კვარტალებად. გამზირი წარმოადგენს მარცხენა სანაპიროს მთავარ მაგისტრალს და თბილისის მეორე *(რუსთაველის გამზ. შემდეგ)* საზოგადოებრივ ცენტრს. გამზირის სიგრძე 3 კმ. ***(“დინამო”-ს სტადიონიდან ზაართბრუკენის მოედნამდე)***, იგი *მდინარე მტკვრის* ***მარჯვენა სანაპიროს*** უკავშირდება სამი ხიდით. თავდაპირველად სწორკუთხა კვარტალები მთლიანად გამწვანებული იყო, ისინი, ფაქტიურად წარმოადგენდნენ რეგულარულ ბაღებს, შემდეგ, თანდათან ხდება მათი განაშენიანება საცხოვრებელი სახლებით, ძირითადად პერიმეტრის გასწვრივ. XXს.-ის დასაწყისის განაშენიანებაში ჩნდება საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობები – *მიხეილის გამზირისა* და ***კირხეს ქუჩის*** *(Кирочная ул. – დღევანდელი მარჯანიშვილის ქ.)* გასწვრივ, ***ვერის ხიდთან*** ახლოს. განაშენიანება, რომელიც XIXს.-ის 80-იან წლებში ჩამოყალიბდა, ასახავს იმ დროისთვის დამახასიათებელ ეკლექტიკურ ტენდენციებს. იმდროინდელი საცხოვრებელი შენობები 1-2 სართულიანია. XXს.-ის დასაწყისში, საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობების გაჩენასთან ერთად, მათი მასშტაბი გაიზარდა 2-3 სართულამდე, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სართულის სიმაღლე ამ შენობებში 3,5 - 4,5 მ.-ია.

საჭიროა აღინიშნოს იმდროინდელი განაშენიანებისთვის დამახასიათებელი რამდენიმე ნიშანი:


- ტიპიური ქალაქის ბევრი უბნისტვის და განხილული რაიონისთვის – “ევროპული” ფასადი და “თბილისური” შიდა ეზო, აჟურული ხის აივნებით.
- ამ რაიონისთვის დამახასიათებელი: 1) კვარტალის პერიმეტრული განაშენიანება გამწვანებული შიდა სივრცით, ზოგ შემთხვევაში, შიდა კვარტალური “თემატური ბაღით”, რომლითაც სარგებლობს ყველა მოქალაქე. 2) ქუჩაზე გამავალი საპარადო ფასადი. პრაქტიკულად არ გეხვდება იმის მაგალითი, რომ ე.წ. “ყოველდღიური” ეზო გადიოდეს ქუჩაზე. თუკი შენობას აქვს ქუჩაზე გამავალი ეზო, ის აუცილებლად ბაღის ტიპისაა და აქვს საპარადო ფასადიც. ამ ორი დამახასიათებელი ნიშნით აღინიშნული რაიონი

განსხვავდება თბილისის სხვა ისტორიული რაიონებისაგან. ასევე უნდა აღინიშნოს ამ რაიონისთვის დამახასიათებელი რამდენიმე დეტალი: 3) XX საუკუნის დასაწყისში არსებული და ნაწილობრივ ჩვენს დრომდე შემორჩენილი ე.წ. "პაუზები" განაშენიანებაში, რასაც ქმნიან ზემოთ აღნიშნული საპარადო ეზო-ბაღები, კვარტალის სიღრმეში შეწეული შენობებით და 4) "კუთხის" ფასადები *(სწორი ან მომრგვალებული კედლით)*, სადაც ხშირად გვხვდება აივნები, ერკერები ან სხვა აქტიური არქიტექტურული ელემენტები.



1 - საპროექტო ტერიტორია
2 - «თიბისი» ბანკი
3 - მარჯანიშვილის ქ. № 9
4 - სანკტ-პეტერბურგის ქაფე

XX საუკუნის შუა წლებში, აქტიური მშენებლობის პერიოდში, ჩვენს საკვლევ რაიონში, ისევე როგორც მთელს ქალაქში, ჩნდება სოცრეალიზმის სტილის დამახასიათებელი გრანდიოზული და პომპეზური შენობები. ამასთანავე, შენარჩუნებულია ზემოთ ჩამოთვლილი დამახასიათებელი ნიშნები – ეკლექტიკური ტენდენციები თანამედროვე სტილში (ხშირად გამოიყენება ქართული საკულტო არქიტექტურისთვის დამახასიათებელი ორნამენტები), კვარტალის სიღრმეში ჩადგმი შენობები საპარადო ფასადებით, ხშირად შენობის კუთხეები გაუმჯობესებული



ხედი დ.უზნაძის ქუჩიდან *(ეროფოკული განშლა)*

უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში გაჩაღებული ახალი მშენებლობები ამ რაიონში და მთელს ქალაქში იმპულსურ და ქაოტურ მიმართულებას იღებს. პოლიტიკური შეხედულებების ხშირმა და მოკლე- ვადიანმა ცვლილებებმა მიგვიყვანეს სრულ შეუთანხმებლობამდე ახალ მშენებლობებში, არამარტო არქიტექტურულ–გეგმარებითი, არამედ ფუნქციონალური თვალსაზრისითაც. ნაგებობათა აბსურდული მასშტაბის შეუსაბამობა ისტორიულ განაშენიანებასთან მძაფრდება მოცემული რაიონის არქიტექტურისთვის დამახასიათებელი ნიშნების სრული იგნორირებით და უკიდურესად უტაქტო დამოკიდებულებით უკვე არსებულ გარემოსთან.

საკვლევი ტერიტორია, კადასტრის თანახმად, *შპს. "მარჯანი"*-ს მფლობელობაშია. იგი მდებარეობს *დავით აღმაშენებლის გამზირის* მიმდებარე, შედარებით პატარა კვარტალში. ეს უკანასკნელი თავისი ერთი ვიწრო ნაწილით გადის *მარჯანიშვილის მოედანზე*, სადაც ესაზღვრება დიდი შენობა (*დავით აღმაშენებლის გამზ. №86, აშენებულია 1948წ. არქიტექტორ მ. მელიას პროექტით).* კვარტალს ორი გრძივი მხრიდან ესაზღვრება *კ.მარჯანიშვილისა* და *სანქტ-პეტერბურგის ქუჩები.* ორივე ქუჩის განაშენიანება ეკუთვნის XIX ს.-ის ბოლოსა და XXს.-ის დასაწყისს. აქ საკმაოდ მჭიდრო განაშენიანებაა, შენობების რიგი საშარავდო ფასადებით გადის ქუჩის წითელ ხაზზე.


ხედი სანკტ-პეტერბურგის ქუჩიდან *(გრაფიკული განშლა)*




განსაკუთრებით საინტერესოა ***სანქტ-პეტერბურგის ქუჩა***, მას ოამამად შეიძლება მიენიჭოს *"ქუჩა – ძეგლის"* სტატუსი, აქ პრაქტიკულად, ყველა შენობას შენარჩუნებული აქვს პირვანდელი სახე და გეგმარებითი სტრუქტურა.

ქუჩის დასაწყისში 5-სართულიანი სახლის *(№86)* მშენებლობის პროცესში, 2-სართულიან შენობებზე გაჩნდა დაშენებები. ზოგ მათგანს, მაგალითად, *№3* დაემატა 2 სართული და იგი გახდა 4-სართულიანი, *№13* – ბოლო სახლი კი დარჩა ისევ 2-სართულიანი. ამრიგად, ქუჩის ზედა კონტური საფეხურებრივად ეშვება დაბლა *კ.მარჯანიშვილის მოედნიდან დ.უზნაძის ქუჩისკენ.* ანალოგიურ სიტუაციას ვხვდებით *კ. მარჯანიშვილის ქ.-ის* მხრიდან (თუმცა ამ მხარეს დაშენების პროცესი არ დასრულებულა), აქ ქუჩის კომპოზიციას მკვეთრად არღვევს 7-სართულიანი შენობა *(მარჯანიშვილის ქ. №9)*, ეს ბოლო შენობაა და ტორეციით გადის *დ. უზნაზის ქუჩაზე* (აშენებულია 1990-იან წლებში). აღსანიშნავია ამ შენობის უსახურობა და "უტაქტობა" არსებული განაშენიანების მიმართ. მხედველობაში გვაქვს ფანჯრები, რომლებიც გადის მოცემული კვარტლის შიგნით, ანუ - სხვის ტერიტორიებზე. მის გეგმარებასა და გარეგნულ იერსახეში არ არის გათვალისწინებული არც ზოგადად თბილისის არქიტექტურული ტრადიციები და არც ამ რაიონისა თუ კვარტლის თავისებურებები.

ხედი კ.მარჯანისვილის ქუჩიდან *(გრაფიკული განშლა)*



კვარტლის მეოთხე, "ვიწრო" მხარე გადის *დ. უზნაძის ქუჩაზე*, სწორედ აქ მდებარეობს ჩვენი საკვლევი ობიექტი – *საწყობის შენობა (დ. უზნაძის ქ. №65)*. უნდა აღინიშნოს, რომ განხილული კვარტლის პერიმეტრზე განლაგებული ყველა შენობა, გარდა *მარჯანიშვილის ქ. №9* და *საწყობის შენობისა (დ. უზნაძის ქ. №65)* შედის ან *ქ. თბილისის ძველის ნაშნის მქონე ობიექტების ნუსხაში, ან თბილისის ისტორიისა და კულტურის ძეგლების ნუსხაში.*



ამრიგად, *საწყობის* მარცხენა მხარეს მდებარეობს 7-სართულიანი შენობა, რომელიც ამოვარდნილია კონტექსტიდან, ხოლო მარჯვენა მხარეს – 2-სართულიანი კუთხის სახლი, ამ უბნისთვის დამახასიათებელი არქიტექტურით. იგი შესულია თბილისის არქიტექტურის ძეგლების ნუსხაში. საწყობის შენობა აშენდა 1960წ. საცხოვრებელი სახლების ადგილას (სამწუხაროდ, ჩვენ არ მოგვეპოვება მათი ამსახველი ფოტოები) იმ დროს თბილისის ყველაზე მსხვილი *"უნივერსალური მაღაზიისთვის"*. (*კ. მარჯანიშვილის ქ. №7*, აშენებულია არქიტექტორ *როგოზსკის* მიერ 1912-13წწ. *"ამიერკავკასიის ოფიცერთა ეკონომიკური საზოგადოებისთვის,"* იმ დროს მეტად მოდური - *პოსტმოდერნის* სტილში. იქამდე ეს საზოგადოება მდებარეობდა *კირხას ქუჩაზე (ახლანდელი კ. მარჯანიშვილის ქუჩა*, სწორედ ჩვენს საკვლევ უბანში, დაახლოებით №19-21 სახლების ადგილას). დღეს ამ შენობაში მდებარეობს *"თიბისი" ბანკი*. საწყობი ეკუთვნოდა ცენტრალურ უნივერმაღს 1990-იან წწ.-მდე, შემდეგ იგი გადავიდა კერძო მფლობელობაში, თუმცა, თავდაპირველი ფუნქცია არ შეუცვლია.

საწყობის შენობა ერთასართულიანია, სწორკუთხა ფორმის, მხოლოდ ნაწილზე აქვს სარდაფი. მზიდი კონსტრუქციები – რკინა-ბეტონის: მართკუთხა კვეთის ფახვერკის კოლონები, გადახურვა – სიმკარები, კედლები – მსხვილპანელოვანი. იატაკები – რკინა-ბეტონის მოჭიმვა, სახურავი – ბრტყელი, რბილი, შესრულებულია რუბეროიდით ბიტუმის მასტიკაზე. აქვს სამი, 2,5მ. სიგანის ღიობი, ორფრთიანი ლითონის კარით და მათ თავზე-სამი, სწორკუთხა, გრძელი ფრამუგა ცხაურით, შემინვის გარეშე. აქვს, ასევე, შიდა სატვირთო ლიფტი. *დ. უზნაძის ქ-ის* მხრიდან საწყობს აქვს არც თუ ისე დიდი ეზო, მის ღობეს წარმოადგენს რკინა-ბეტონის პანელები განიერი ლითონის ჭიშკრით. ძირითადი შენობის გარდა, საკვლევ ტერიტორიაზე დგას რამდენიმე, მცირე ზომის ერთსართულიანი ნაგებობა – ყოფილი "დარაჯის ჯიხური" და ლითონის მაღაზია – ჯიხური. კულტურული და ისტორიული თვალსაზრისით *საწყობის შენობა* არაღირებულია.


უშუალოდ საწყობის პირდაპირ, *დ. უზნაძის ქუჩის* მხრიდან, მდებარეობს 2-სართულიანი შენობა მაღალი ცოკოლის სართულით, რომელიც აშენებულია XXს.-ის 30-იან წლებში. მისი ფასადები ატარებს როგორც *კონსტრუქტივიზმის*, ისე *სოცრეალიზმის სტილისთვის* დამახასიათებელ ნიშნებს. თავდაპირველად, აქ განთავსებული იყო გამომცემლობა *"საქწიგნი"*, ამჟამად შენობაში რამდენიმე ოფისია მოთავსებული.

* * * * *


შეუძლებელია ვილაპარაკოთ ტერიტორიის დაგეგმარებაზე მთელი უბნის (კვარტლის) თავისებურებების გათვალისწინების გარეშე, მხედველობაში გვაქვს ის, რომ შედარებით მცირე ტერიტორიაზე არის ბევრი არქიტექტურული ძეგლი. ამ ფაქტის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მომავალ დამკვეტებისთვის შემდეგი *რეკომენდაციების* მიცემა:

- იმ შენობების გამაგრება-რესტავრაცია, რომლებიც შესულია არქიტექტურული ძეგლების ნუსხაში. ქუჩის ფასადების "საფეხურებრივი" განვითარება (ძველი ფასადების შენარჩუნებით) იძლევა იმის საშუალებას, რომ კ. მარჯანიშვილის ქუჩაზე რამოდენიმე საკადასტრო ერთეულზე განხორციელდეს სართულიანობის გაზრდა, ამასთანავე, სასურველია, რომ ახალი მოცულობები შეიწიოს ქუჩიდან კვარტლის სიღრმეში, რითაც ხაზი გაესმება არსებული განაშენიანების კონტურს და და ხაზის გასმება ქუჩის ისტორიულ პროფილს;
- უბნის შიდა სივრცის "გაწმენდა" რამოდენიმე შენობებისა და ახალი მინაშენებისაგან და ამით შიდა კვარტალური სარეკრეაციო ზონის შექმნა, რაც ასე დამახასიათებელია ამ რაიონისთვის;
- სასურველია, რომ კ. მარჯანიშვილის ქ. №9 სახლი მომავალში შეიცვალოს ამ რაიონისთვის უფრო შესაფერისი და ლოგიკური შენობით. ეს ფაქტორი გათვალისწინებული იქნას "საწყობის ტერიტორიის" დაგეგმარებისას;
- "საწყობის ტერიტორიის" დაგეგმარებისა და ფუნქციონალური დატვირთვის გააზრებისას, სასურველია გათვალისწინებულ იქნას მიმდებარე ტერიტორიის უკვე ჩამოყალიბებული მოთხოვნები, განსაკუთრებით, ამ ადგილზე არსებული, ავტომანქანების სადგომების პრობლემა


არქიტექტორი - ალა პროზოროვა, 04. 2006 წ.




1884



1913




1902





1924

1907

1975









1867

1924







1893 წ.

ს ა არ ქ ი ვ ო ფ ო ტ ო ე ბ ი


1915 წ.







1970 ჭ.

2005 ჭ.











საწყობის ტერიტორია
ფოტოფიქსაცია
2005 – 2006 წწ.












საწყობი
და საწყობის
მოპირდაპირე მხარე
ფოტოფიქსაცია
2006 წწ.






საწყობის მოპირდაპირე მხარე –
« თი ბი სი » ბანკი და
მარჯანისვილის თეატრი
ფოტოფიქსაცია
2006 წ.







ხედი სანკტ-პეტერბურგის ქუჩისკენ
ფოტოფიქსაცია
2006 წ.

